პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 110 (3594)

1968 წ. 6 ივნისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## შეხვედრა ნეაპოლში

გუშინ ნეაპოლის „სან-პაოლოს" სტადიონზე ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ იტალიისა და სსრ კავშირის გუნდები. თამაშის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0. წილისყრის შედეგად ფინალში გავიდა იტალიის ნაკრები.



ცხენოსნობის თბილისელ მოყვარულებს ყოველ შაბათ-კვირას საინტერესო ასპარეზობა ელით იპოდრომზე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: 6 დაბრკოლების გადალახვაში გამარჯვებული ა. ჯავახიშვილი (თბილისი) ამასწინანდელი შეჯიბრების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ფინელი სტუმარი

3 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ლელაშვილმა მიიღო თბილისში ჩამოსული ფინეთის სპორტის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ი. ნიემი მეუღლითურთ.

მ. ლელაშვილი სტუმარს ესაუბრა საქართველოს ისტორიულ წარსულსა და თანამედროვე ცხოვრებაზე. შეეხო რა რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას, მან თქვა, რომ ერთ-ერთი მისი დამახასიათებელი თვისებაა მისაწვდომობა და მასობრიობა. აღნიშნა ისიც, რომ საქართველოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა რიცხვმა ერთ მილიონს მიაღწია.

ი. ნიემიმ განაცხადა, რომ საბჭოთა სპორტს ახასიათებს მასობრიობა და ოსტატობა. მან აღნიშნა, რომ ფინეთში კარგად იციან ქართველ სპორტსმენთა, განსაკუთრებით მოჭიდავეთა წარმატებანი.

ფინეთის სპორტის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ დიდი კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებებთან მისი ქვეყნის სპორტული ორგანიზაციების მტკიცე ურთიერთობის გამო.

საერთაშორისო სპორტული ურთიერთობა, ხაზგასმით აღნიშნა მ. ლელაშვილმა, ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგების, მეგობრობისა და ნდობის დამყარებას.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე შ. კიკნაძე, პროფსაბჭოს მდივანი ო. ცანავა, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პროფკავშირთა სპორტულ საზოგადოებათა კავშირის თავმჯდომარე გ. ილისიევი, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე (საქინფორმი).

## დღეს ნომერში:

ახმეტელები — ქართული ჭიდაობის ტრიუმფი 1-ლი გვ.
მსროლელთა ავ-კარგი მე-2 გვ.
დაწინაურდა თბილისის არმიელთა გუნდი მე-3 გვ.
ფურცლები სამამულო სპორტის ისტორიიდან მე-4 გვ.

## მისაბაძი ენთუზიაზმით

ამ დღეებში ახმეტის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებამ, რომელშიც 116 სპორტსმენი მონაწილეობდა, იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ დარბაზმა ყველა მსურველი ვერ დაიტია.

კენჭისყრამ პირველ წრეშივე ერთმანეთს შეახვედრა უძლიერესი ფალავნები. ამან კიდევ უფრო დაძაბა შეჯიბრება. ადგილობრივი გულშემატკივრები გაახარეს ზ. გუტაშვილმა, ე. უძილაურმა, გ. იოსებაშვილმა, რომლებმაც ჭიდაობის მაღალი ტექნიკა გამოავლინეს. აქაური ფალავნების სახელი ხომ არა მარტო რაიონში, არამედ რესპუბლიკაშია ცნობილი, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა საკავშირო სარბიელზეც ისახელა თავი. სწორედ ახმეტაში დასტაბლდნენ ამ შეჯიბრების ჩემპიონები ზ. გუტაშვილი, მ. გაგუნაშვილი, ო. ქიბროწაშვილი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. გიორგაძე, ბ. ჟიჟიაშვილი, ნ. ბეინიშვილი, ზ. გუტაშვილი (ყველა — თბილისი), მ. გაგუნაშვილი, რ. ქაიხოსროშვილი (ორივე — გორი), შ. გულიაშვილი (თბილისი), ო. ქიბროწაშვილი (გორი).

საყურადღებოს იმსახურებს ქართული ჭიდაობის მდიდარი ტრადიციების მქონე ისეთი რაიონები, როგორიცაა ყვარელი, გურჯაანი, ხაშური, ცხინვალი, წითელწყარო და ზოგიერთი სხვა, რომლებმაც არ გამოგზავნეს ფალავნები ასეთ საინტერესო შეჯიბრებაში სასპარეზოდ.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ახმეტის სპორტკავშირი და ფიზკულტურული აქტივი, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, რომ შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. რაიონის საწარმო-დაწესებულებებმა დააწესეს 20-ზე მეტი პრიზი, რომლებიც გადაეცათ კიდეც ღირსეულ სპორტსმენებს.

ბ. მაზიაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.





## ყველა პირობაა შექმნილი

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ყველა პირობაა შექმნილი მძლეოსნობის კარგად სწავლებისთვის. სტუდენტთა განკარგულებაშია სარბენი ბილიკები, სახტომი და სატყორცნი სექტორები, ყველა სახის ინვენტარი. რაც მთავარია, მათ აღზრდას მაღალკვალიფიციური კადრები ემსახურებიან. მძლეოსნობის კათედრის (გამგე — სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. იოსელიანი) ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, რომ ამ ინსტიტუტის გუნდი რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესოა უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებს შორის. ამ სურათებზე, რომლებიც მ. ზარგარიანმა გადაიღო, მძლეოსნობაში მეცადინეობის მომენტებია აღბეჭდილი. მ ა რ ც ხ ე ნ ა ს უ რ ა თ ზ ე — კათედრის მასწავლებელი ვ. ვაშაკიძე მეცადინეობას ატარებს თარჯრბენში; მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ — ა. ლაკერბაის (ჭრელ პერანგში) სავარჯიშოდ მიჰყავს ჭოკით მხტომელები.




## რესპუბლიკური თამაშები

# დაძაბულ ჭიდილში

თბილისში სამ დღეს გრძელდებოდა „კლასიკოსთა" პირად-გუნდური პირველობა აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, მახარაძის, ზესტაფონის, ხაშურის, გარდაბნისა და რუსთავის 160 ათლეტის მონაწილეობით. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა თბილისის ნაკრებმა. II ადგილზეა ქუთაისის, ხოლო III — ხაშურის კოლექტივი.

აღსანიშნავია ხაშურელთა თვალსაჩინო წარმატება. III საპრიზო ადგილი ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში ერთობ საპატიო შედეგია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, აგრეთვე, გარდაბნის ახალგაზრდული კოლექტივის წარმატება — პრიზიორთა რიცხვში გარდაბნის წარმომადგენლებსაც ვხედებით. მაგალითად, გ. ჯოხაძე სულ ორიოდე წელია, რაც ჭიდაობის სექციაში მეცადინეობს და უკვე რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა.

ტურნირმა ბევრი სხვა ნიჭიერი მოჭიდავეც გამოავლინა. კარგად იჭიდავა თბილისელმა ა. ნებულიშვილმა. ფინალში მან წმინდად დაამარცხა თანაგუნდელი ვ. დარჩია და უძლიერესის სახელი მოიპოვა თავის წონაში.

განსაკუთრებით სასიხარულოა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის ი. ჩხარტიშვილის წარმატება: ჭაბუკთა შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორმა არც წლეულს შეირცხვინა თავი. იგი შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იმაღლებს ოსტატობას და კარგი ტექნიკური და საბრძოლო თვისებებით გამოირჩევა.

ქების ღირსნი არიან, აგრეთვე, ხაშურელი ტ. მაჭარაშვილი, გარდაბნელი ი. გველესიანი და ბათუმელი ზ. ელენიძე.

გულისტკივილით უნდა შევნიშნოთ, რომ აჭარამ და აფხაზეთმა ამ ბოლო დროს პოზიციები დათმეს და ამ ჩემპიონატშიც უფერულად გამოიყურებოდნენ.

შეჯიბრება ძალიან საინტერესოდ და ორგანიზებულად ჩატარდა.

ტ. ფილიშვილი,
სპორტის ოსტატი.

* * *

### პირადი ასპარეზობის პრიზიორები

**48 კგ.** 1. ვ. ჯოხაძე (გარდაბანი), 2. ზ. შალიკიანი (ქუთაისი), 3. ტ. მაჭარაშვილი (ხაშური).

**52 კგ.** 1. რ. გამბაროვი (თბილისი), 2. გ. ლევიძე (ქუთაისი), 3. ზ. ჯაფარიძე (თბილისი).

**56 კგ.** 1. ნ. სალნიკოვი, 2. ზ. ნატრიაშვილი, 3. ა. ჯანიაშვილი (სამივე — თბილისი).

**60 კგ.** 1. დ. უმანკოშვილი (ქუთაისი), 2. ა. [illegible]შვილი (ორივე — თბილისი).

**65 კგ.** 1. [illegible], 2. ზ. ედიბერიძე (ქუთაისი), 3. რ. მახარაძე (მახარაძე).

**70 კგ.** 1. ა. ნებულიშვილი, 2. ვ. დარჩია, 3. ი. გლოველი (სამივე — თბილისი).

**75 კგ.** 1. გ. გაბრიელიანი, 2. ბ. ბუგუშვილი (ორივე — თბილისი), 3. ი. გველესიანი (გარდაბანი).

**81 კგ.** 1. ი. ჩხარტიშვილი (თბილისი), 2. ლ. ბზიკაძე (ქუთაისი), 3. ე. აკოფოვი (თბილისი).

**87 კგ.** 1. ა. მელაძე (ქუთაისი), 2. ა. სინაგუროვი (ხაშური), 3. ვ. მამისაშვილი (თბილისი).

**87 კგ-ს ზევით.** 1. შ. მორჩილაძე, 2. ი. ხომასურიძე (ორივე — თბილისი), 3. ზ. ელენიძე (აჭარა).

# სასიამოვნო სიურპრიზი

თავისუფალი სტილით ჭიდაობაში რესპუბლიკის 189 მოზარდი ათლეტი გამოვიდა. გუნდური I ადგილი წილად ხვდათ თბილისელებს, II — აფხაზეთის წარმომადგენლებს, III — ქუთაისელებს. სასიხარულოა, რომ აფხაზეთის გუნდმა ძალიან კარგად იასპარეზა — 14 ქულით გაუსწრო ქუთაისის ძლიერ კოლექტივს.

ქებას იმსახურებს ზუგდიდის სპორტული ორგანიზაციაც, რომლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა საპრიზო ადგილიც კი დაიკავა. ადრე ზუგდიდის რაიონის მოჭიდავეებს რესპუბლიკურ ხალიჩაზე ვერ ნახავდით.

კარგად იასპარეზა კასპელმა ი. მალალაშვილმა. ფინალში მან წმინდა გამარჯვება მოიპოვა თბილისელ გ. ვახტანგაძესთან და ჩემპიონი გახდა. აღსანიშნავია სოხუმელი ი. ლვინჯილიას წარმატებაც, რომელმაც II საპრიზო ადგილი დაიკავა. იგი ტექნიკური მოჭიდავეა, ყველა ორთაბრძოლაში გამარჯვებისაკენ ისწრაფვოდა და აკი შეხვედრას შეხვედრაზე იგებდა კიდეც.

ტ. ლიკლიკაძე.

* * *

### პირადი ასპარეზობის პრიზიორები

**48 კგ.** 1. ი. მალალაშვილი (კასპი), 2. გ. ჯოხაძე, 3. გ. ვახტანგაძე (ორივე — თბილისი).

**52 კგ.** 1. მ. ჩხაიძე (მცხეთა), 2. ი. ლვინჯილია (აფხაზეთი), 3. ა. ავდალიანი (თბილისი).

**56 კგ.** 1. შ. ლუტიძე (თბილისი), 2. ა. ხუციშვილი (კასპი), 3. ვ. სულიკაშვილი (თბილისი).

**60 კგ.** 1. ტ. გაგუა (ბათუმი), 2. ა. ბაირამოვი (თბილისი), 3. ტ. ხვიტია (ზუგდიდი).

**65 კგ.** 1. გ. სუჯაშვილი (თბილისი), 2. გ. ელოშვილი (მცხეთა), 3. ნ. ხოხაშვილი (თბილისი).

**70 კგ.** ა. ხოხაშვილი, 2. ს. ხუთიაშვილი, 3. ტ. კიკაბიძე (სამივე — თბილისი).

**75 კგ** 1. ვ. გეგეშიძე (საგარეჯო), 2. ხ. მამედოვი (თბილისი), 3. ა. მარგიევი (სამხრეთ ოსეთი).

**81 კგ.** 1. მ. შიოშვილი (თბილისი), 2. ზ. გვენეტაძე (აჭარა), 3. შ. ელიოზიშვილი (თბილისი).

**87 კგ.** 1. თ. ბენდიანაშვილი, 2. მ. ილურიძე (ორივე — თბილისი), 3. მ. ცაგურია (აფხაზეთი).

**87 კგ-ს ზევით.** 1. ნ. მოდებაძე, 2. ზ. ნიკურაძე (ორივე — თბილისი), 3. დ. შანშიაშვილი (ქუთაისი).

# დინამოელები აბარებენ გამოცდას

ავჭალის სასროლეთზე დამთავრდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ტყვიის სროლაში. მსხვილკალიბრიანი რევოლვერით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე 60 გასროლაში მრგვალ სამიზნეებზე სროლისას დაწინაურდა სპორტის ოსტატი დ. ფილიევი (თბილისი), რომელმაც 300-დან 294 ქულა დააგროვა და 4 ქულით გაასწრო გამარჯვების მეორე პრეტენდენტს, თანაგუნდელ ო. კვირიკაშვილს. ფილიევმა სილუეტებზეც კარგად იასპარეზა, ამჯერად 295 ქულა დააგროვა (ვარჯიშში — 589), რითაც „დინამოს" რეკორდი გაიმეორა და პირველობაც მოიპოვა. კვირიკაშვილს გაასწრო თ. კვანტალიანმაც (თბილისი).

ამ დღეს ქალები მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ასპარეზობდნენ. პირველობა ბათუმელ ო. გლაზუნოვას ხვდა.

„მაქცეულ ტახზე" სროლაში (40+40) ს. ქუსიკაშვილმა და დ. ლუაშვილმა (ორივე — თბილისი) საბოლოოდ ერთნაირი მაჩვენებელი (324 ქულა) მოიპოვეს. უძლიერესის გამოსავლენად დამატებით სროლაში უპირატესობა ქუსიკაშვილს დარჩა. საერთაშორისო სპორტის ოსტატი თბილისელი გ. თავდიდიშვილი III ადგილით დაკმაყოფილდა.

მესაზღვრის დღის ზეიმს გამარჯვებით შეეგება ამ სახეობის ვეტერანი, ჩვენი რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონი, თბილისელი სპორტის ოსტატი ა. შილოვი, რომელმაც მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 5 სილუეტზე სწრაფსროლაში 600-დან 585 ქულა მოაგროვა და ჩემპიონის სახელიც დაისაკუთრა.

ქალების ამ ვარჯიშში ყველას აჯობა სოხუმელმა ტ. ტერეხოვამ — 561. ეს აფხაზეთის ახალი რეკორდია. მანვე მოიგო მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლა: 300-დან 260 ქულა მოაგროვა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრიდან მრგვალ სამიზნეებზე სროლაში კარგად იასპარეზა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, თბილისელმა მ. პაპავამ — 555 ქულა.



ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში, ყველაზე კარგად სოხუმელებმა იასპარეზეს. ჩემპიონობა ა. ტკაჩენკომ მოიპოვა (551), გ. ლუდუშაური კი III ადგილზე გავიდა. მეორე იყო თბილისელი ა. მარუთიანი.

საბრძოლო შაშხანით ამავე სტანდარტზე სროლაში ლუდუშაურმა ისახელა თავი. მარუთიანთან ბრძოლაში მან 532 ქულა დააგროვა და 1 ქულით აჯობა მთავარ მეტოქეს.

50 მეტრიდან წოლელა სროლაში საზოგადოების ჩემპიონი გახდა თბილისელი მ. ბერიძიშვილი. მან 600 შესაძლებლიდან მხოლოდ 13 ქულა დაკარგა. ქალთა ეს ვარჯიში მისმა თანაგუნდელმა, სპორტის ოსტატმა ს. ზასკომ მოიგო. მცირეკალიბრიან სტანდარტში თავი ისახელეს სოხუმელმა ლ. ალიხანოვამ და თბილისელმა ლ. ოსტრიკოვამ.

ბოლო ტურნირებში მსროლელთა შეჯიბრების პროგრამას პნევმატური შაშხანით სროლაც დაემატა. ამ იარაღით ქალები საკავშირო სარბიელზეც გამოცადეს. აქ კი, საქართველოს დინამოელთა ასპარეზობაში, ყველაზე კარგად ლუდუშაურმა და თ. მეგრელიშვილმა (თბილისი) იასპარეზეს, რომლებმაც 600-დან 539 ქულა მოაგროვეს. პირველობა ლუდუშაურს მიეკუთვნა, ვინაიდან მან ბოლო სერიაში მეტოქეზე უკეთესი შედეგი აჩვენა.

ა. ოსიპოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ს. ზასკო ასპარეზობისთვის ემზადება.

# საყურადღებო მოხსენებებით

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ წარმართვის ერთ-ერთი საუკეთესო გზა სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციებია, რომელთა ჩატარება ტრადიციად იქცა ჩვენს რესპუბლიკაში.

საინტერესო იყო წლევანდელი კონფერენციაც.

მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებლის ქ. ფანქველაშვილის მოხსენებამ — „კომბინირებული სპორტული იარაღის დამზადება". ავტორმა აღნიშნა, რომ ხაშურის სკოლების მოსწავლეებს დარბაზების ნაცვლად სპორტულ ოთახებში უხდებათ მეცადინეობა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ფიზკულტურის გაკვეთილების მაღალხარისხოვნად ჩატარება შეუძლებელია — მთელი ოთახი სპორტულ იარაღებს უჭირავს და ბავშვებისთვის ადგილი აღარ რჩება. მომხსენებლის აზრით, კარგი იქნება დამზადდეს კომბინირებული ტანვარჯიშული იარაღი, რომელიც სპორტულ ოთახში მცირე ადგილს დაიჭერს. თავისი აზრის დასასაბუთებლად მან მოდელიც წარმოადგინა. სხვადასხვა ნაწილიდან შეიძლება გაკეთდეს 10 სახის სპორტიარაღი, რომლისაგან გაკვეთილის ძირითად მონაკვეთზე ერთდროულად სამის გამოყენება შეიძლება. ამასთან, კომბინირებული იარაღის დამზადებას გაცილებით ნაკლები ხარჯები სჭირდება.

მოწონება ხვდა თ. ქებულაძის (ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა) მოხსენებას თემაზე — „როგორ ვხელმძღვანელობ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა თამაშს ოჯახში". ავტორმა აღნიშნა, რომ ფიზიკური აღზრდის ამოცანების გადაწყვეტა მხოლოდ ფიზაღზრდის სავალდებულო გაკვეთილების ჩატარებით ყოვლად შეუძლებელია. ქებულაძეს თავად შეუდგენია ბავშვებისთვის შესაფერ მოძრავ თამაშობათა სარეკომენდაციო სია. საცხოვრებელ უბნებში ფიზკულტურული მუშაობის სათანადოდ წარმართვაში იგი იყენებს უფროსი ასაკის მოსწავლეებს და მშობლებსაც, რომელთაც სისტემატურ ინსტრუქტაჟს უტარებს. მათ უკვე შეძლეს სპორტმოედნების მოწყობა საბინაო სამმართველოების ხელმძღვანელთა დახმარებით. მონდომებამ ნაყოფი გამოიღო: ოჯახურ პირობებში ბავშვთა ფიზიკურ აღზრდას ორგანიზებული ხასიათი მიეცა.

დიდი ყურადღებით მოისმინეს ო. კუპრეიშვილის (ცხაკაიას რაიონის ხოფ. ნოსირის სკოლა) და ი. ვადაჭკორიას (მახარაძის მე-3 სკოლა) მოხსენებები. პირველმა აღწერა ის ხერხები და საშუალებები, რომელთა დახმარებითაც იგი ხელს უწყობს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე მოსწავლეებში ესთეტიკური გემოვნების განვითარებას. ვადაჭკორიას მოხსენება კი სკოლაში დიდი დასვენების რაციონალურად გამოყენების საკითხს ეხებოდა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკმა გ. ჯაფარიძემ. მან აღნიშნა, რომ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე მასწავლებლები მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური ძალის განვითარებისა და სათანადო სამოძრაო-ჩვევების პრაქტიკულად დაუფლებას ისახავენ მიზნად, გაკვეთილის საგანმანათლებლო მხარე კი სრულიად უყურადღებოდ რჩება. მოსწავლეები ვარჯიშებს მექანიკურად ასრულებენ და არ იციან მათი დანიშნულება. ერთი სიტყვით, არ ხდება ვარჯიშის გაცნობიერებული სწავლება და ა. შ.

ვერ ვიტყვით, რომ ყველა მოხსენება უნაკლო იყო. ბევრს აკლდა პრაქტიკით მოპოვებული ფაქტობრივი მასალა. კარგი იქნება, თუ მომავალში კონფერენციებზე წასაკითხ მოხსენებებზე მუშაობის დროს მასწავლებლები მჭიდრო კავშირს იქონიებენ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მუშაკებთან, რომლებიც მათ სათანადო კონსულტაციებს გაუწევენ.

### [illegible]

**ხაშური**

რაიონის საშუალო სკოლების მძლეოსანთა ტურნირში 9 გუნდის 100-მდე წევრი ჩაება. გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა ხაშურის მე-2 სკოლა, II ადგილზეა რკინიგზის მე-5, III — რკინიგზის მე-3 სკოლა.

ზ. მოსეშვილი.

**მახარაძე**

აქ გაიმართა რაიონის რვაწლიანი სკოლების პირველობა კალათბურთში. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვეს თხინვალის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა.

ბ. ბობროვნიძე.

# არ ზრუნავენ

ამას წინათ თბილისში, სამხედრო მონადირეთა საზოგადოების სტენდზე ჩატარდა მოზარდ მესტენდურეთა საქალაქო პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 6 მხოლოდ მონკავშირის, „ლოკომოტივისა" და სამხედრო მონადირეთა საზოგადოების სპორტსმენები.

ადგილიდან სროლაში იმარჯვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის პირველკურსელმა პ. იმნაიშვილმა (მონკავშირი), რომელმაც 100-დან 84 ქულა დააგროვა. ეს შედეგი მხოლოდ 1 ქულით ნაკლებია პირველი თანრიგის ნორმატივზე. II ადგილზე გავიდა 78-ე სკოლის X კლასის მოსწავლე ს. პარფიონოვი (სამხედრო მონადირეთა საზოგადოება) — 78, III — რკინიგზის ტექნიკუმის მეორეკურსელი ლ. ნაზარენკო („ლოკომოტივი") — 69.

თუ ადგილიდან სროლაში შედეგები ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი იყო, მრგვალ სტენდზე შეჯიბრების მაჩვენებლები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ სახეობაში უძლიერესმა, „ლოკომოტივის" გუნდის წევრმა, ქარხანა „ელექტრომძრავას" ხარატმა ს. მირზოიანმა 100-დან 62 ქულა მოაგროვა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის პირველკურსელმა ვ. მიასნიკოვმა (სამხედრო მონადირეთა საზოგადოება) კი — 45 ქულა. III ადგილი წილად ხვდა 53-ე სკოლის მეათეკლასელს ი. ქელბაქიანს (მონკავშირი), რომელმაც 35 სამიზნე ძლივს გატეხა.

დაბალი შედეგები იმითაც არის გამოწვეული, რომ „დინამოს", „განთიადის," „სპარტაკის," „ბურევესტნიკისა" და სხვა საზოგადოებების საბჭოები და უწყებები ამ სახეობის განვითარებისათვის საერთოდ არ ზრუნავენ. სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის სამზადისი კი მათ ახალგაზრდებთან ინტენსიურ მუშაობას ავალებს.

ი. ბარბაქაძე.

# პირველი ნაყოფი

გულრიფშის რაიონის სპორტული სკოლა 250 მოსწავლეს ითვლის. აქ მუშაობს მძლეოსნობის, კალათბურთის, ფრენბურთის, ველოსპორტის, ფეხბურთის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთისა და სხვა სექციები, რომლებსაც სათავეში უდგანან გამოცდილი მწვრთნელები ს. ბრეიფუსი, ნ. ჩხეიძე, ა. კერსელიანი, გ. კაჭარავა, ა. გუბი, ნ. მატიაში, რ. კანსუზიანი, რ. გუბა, ო. ჭეჟია.

სპორტსკოლას (დირექტორი ა. სტეფანია) სულ მცირე ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მისმა აღსაზრდელებმა უკვე მოიპოვეს პირველი წარმატებები: აფხაზეთის ჩემპიონატში მოჭადრაკეებმა ყველას აჯობეს, ველოსიპედისტები კი II ადგილზე გავიდნენ.

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

გულრიფში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

შედგა მორიგი ტურის მატჩები.

● „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ხულორი“ (ვანი) 1:0. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „არაგვი“ (მცხეთა) — „იხანი“ (თბილისი) 0:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

პირველ ტაიმში ორივე გუნდი თამაშობდა უხალისოდ, უინტერესოდ, ხშირი შეცდომებით. შესვენების შემდეგ ბრძოლა შედარებით გამწვავდა. მართალია, საერთო ინიციატივა მცხეთელებს ჰქონდათ, თბილისელებმა ერთ-ერთი თავიანთი კონტრშეტევა გოლით დაამთავრეს (ბურთი შორიდან გაიტანა გოცირიძემ). შემდგომში მანვე გაზარდა ანგარიში.

● „აერო“ (გალი) — „მშენებელი“ (სიღნაღი) 0:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

● ასკ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:2. მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).

ეს იყო ლიდერთა შეხვედრა, რომელიც ჩატარდა მაღალ ტემპში, საინტერესოდ, დაძაბულად. თბილისელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა. ისინი ხშირად უტევდნენ და ცირეკიძემ ზედიზედ ორჯერ აიღო სტუმრების კარი. არმიელთა უპირატესობით მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც და მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას აკლდა 10 წუთი და შეხვედრის ბედიც თითქოს გადაწყვეტილი იყო, ზესტაფონელებმა შეძლეს კონტრთამაშის შექმნა. მოხელაშვილმა მე-80 და 89-ე წუთებზე აიძულა თბილისელთა მეკარე ორჯერ გამოეტანა ბადიდან ბურთი.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 3:0. მსაჯი ო. მურვანიძე (ბათუმი).

● „სამცხე“ (აწყური) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:1. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

● „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) — „ხინათლე“ (თბილისი) 0:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

● „გარეჯი“ (საგარეჯო) — „კოლხეთი“ (ცხაკაია) 2:4. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

10 წუთის საინტერესო ორმხრივი ბრძოლის შემდეგ ინჯგიამ მოულოდნელად დაარტყა შორიდან და ბურთი მასპინძელთა კარში აღმოჩნდა. საპასუხო გოლი ბეზარიაშვილმა გაიტანა 11-მეტრიანით — 1:1. არ გასულა ცოტა ხანი და ინჯგიამ, ხოლო შემდეგ ქაჩიბაიამ დააწინაურეს „კოლხეთი“ — 3:1. მეორე ტაიმში ჰიაბერაშვილმა გაქვითა ერთი გოლი და როცა მატჩის დასასრულამდე ბევრი აღარ იყო დარჩენილი, „გარეჯის“ ერთ-ერთმა მცველმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

● „სპარტაკი“ (ბორჯომი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:1. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

ბორჯომელებმა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს პირველი ტაიმი (ბორტიშვილი). გატანილი გოლის შემდეგ თამაში საგრძნობლად გამოცოცხლდა. სტუმრების ერთ-ერთი ცდა გოლით დამთავრდა და ანგარიშიც გათანაბრდა.

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — ფიზკულტურის ინსტიტუტი 0:3. მსაჯი ლ. ჯობაძე (ხაშური).

## I ჯგუფის II ქვეჯგუფი

### I ზონა

„განთიადი“ (კასპი) — „შრომითი რეზერვები“ (გარდაბანი) 1:2, „კოლმეურნე“ (მარნეული) — „აბული“ (ახალქალაქი) 0:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „ვაზისუბანი“ (გურჯაანი) 2:2, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ფარავანა“ (ბოგდანოვკა) 6:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ზემო ქართლი“ (ხაშური) 0:0, „შირაქი“ (წითელწყარო) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 5:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:0, „ვარძია“ (ასპინძა) — „ელმავალმშენი“ (თბილისი) 1:0.

### II ზონა

„კოლხეთმშენი“ (ფოთი) — „რიწა“ (გუდაუთა) 2:1, „განთიადი“ (ტყიბული) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 0:3, „დინამო“ (ოჩამჩირე) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:0, „განახლება“ (ადიგენი) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 1:0, „კოლხეთი“ (ხობი) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 2:0, „განთიადი“ (აბაშა) — „ელექტრიკოსი“ (ქუთაისი) 1:0.

ტყვარჩელის „მეშახტეს“ და ჭიათურის „მშენებელს“ დამარცხება ჩაეთვალათ საჩხერის „ჩიხურასთან“ და თერჯოლის „იმერეთთან“.

## საქართველოს პირველობა-68

## გათამაშების ცხრილები

### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 6 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (თბილისი) | 16 | 8 | 7 | 1 | 34—10 | 23 |
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 15 | 7 | 7 | 1 | 32—14 | 21 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 16 | 7 | 7 | 2 | 22—12 | 21 |
| „სპარტაკი“ (ბორჯომი) | 14 | 6 | 8 | 0 | 23—13 | 20 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 16 | 7 | 6 | 3 | 23—19 | 20 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 15 | 8 | 3 | 4 | 22—11 | 19 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 15 | 6 | 7 | 2 | 24—14 | 19 |
| „აერო“ (გალი) | 16 | 7 | 5 | 4 | 18—17 | 19 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 15 | 6 | 6 | 3 | 18—15 | 18 |
| „ხინათლე“ (თბილისი) | 14 | 6 | 5 | 3 | 14—9 | 17 |
| „ხულორი“ (ვანი) | 16 | 6 | 4 | 6 | 14—15 | 16 |
| „მშენებელი“ (სიღნაღი) | 15 | 4 | 6 | 5 | 17—21 | 14 |
| „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) | 16 | 3 | 6 | 7 | 16—24 | 12 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 14 | 4 | 4 | 6 | 11—23 | 12 |
| „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) | 16 | 3 | 5 | 8 | 13—19 | 11 |
| „არაგვი“ (მცხეთა) | 14 | 5 | 1 | 8 | 12—18 | 11 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 15 | 3 | 5 | 7 | 18—23 | 11 |
| „იხანი“ (თბილისი) | 16 | 3 | 5 | 8 | 12—24 | 11 |
| „გარეჯი“ (საგარეჯო) | 16 | 3 | 4 | 9 | 16—25 | 10 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 12 | 3 | 3 | 6 | 10—18 | 9 |
| „სამცხე“ (აწყური) | 13 | 1 | 6 | 6 | 12—16 | 8 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 15 | 2 | 4 | 9 | 9—20 | 8 |

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

#### I ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) | 9 | 7 | 2 | 0 | 19—5 | 16 |
| „შრ. რეზერვები“ (გარდაბანი) | 9 | 7 | 1 | 1 | 20—6 | 15 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 9 | 5 | 2 | 2 | 16—9 | 12 |
| „აბული“ (ახალქალაქი) | 8 | 5 | 1 | 2 | 11—11 | 11 |
| „ზემო ქართლი“ (ხაშური) | 9 | 3 | 4 | 2 | 10—4 | 10 |
| „თრიალეთი“ (წალკა) | 9 | 4 | 2 | 3 | 12—14 | 10 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 8 | 3 | 3 | 2 | 9—3 | 9 |
| „კოლმეურნე“ (მარნეული) | 9 | 3 | 3 | 3 | 17—16 | 9 |
| „ვაზისუბანი“ (გურჯაანი) | 8 | 2 | 4 | 2 | 14—15 | 8 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 9 | 4 | 1 | 4 | 14—16 | 9 |
| „ფარავანა“ (ბოგდანოვკა) | 7 | 1 | 4 | 2 | 11—17 | 6 |
| „გარისი“ (თეთრი წყარო) | 9 | 2 | 2 | 5 | 9—17 | 6 |
| „ელმავალმშენი“ (თბილისი) | 9 | 2 | 1 | 6 | 8—15 | 5 |
| „შირაქი“ (წითელწყარო) | 9 | 2 | 0 | 7 | 16—18 | 4 |
| „ვარძია“ (ასპინძა) | 7 | 2 | 0 | 5 | 7—15 | 4 |
| „განთიადი“ (კასპი) | 8 | 0 | 2 | 6 | 8—18 | 2 |

#### II ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 8 | 7 | 1 | 0 | 20—4 | 15 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 9 | 5 | 4 | 0 | 12—5 | 14 |
| „განთიადი“ (აბაშა) | 9 | 5 | 3 | 1 | 10—5 | 13 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 8 | 5 | 2 | 1 | 41—3 | 12 |
| „ელექტრიკოსი“ (ქუთაისი) | 9 | 2 | 5 | 2 | 11—7 | 9 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 7 | 3 | 3 | 1 | 10—6 | 9 |
| „დინამო“ (ოჩამჩირე) | 8 | 2 | 5 | 1 | 10—7 | 9 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 9 | 3 | 3 | 3 | 9—8 | 9 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 9 | 2 | 5 | 2 | 8—10 | 9 |
| „კოლხეთმშენი“ (ფოთი) | 8 | 3 | 2 | 3 | 9—12 | 8 |
| „განახლება“ (ადიგენი) | 9 | 2 | 4 | 3 | 19—14 | 8 |
| „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) | 8 | 2 | 3 | 3 | 8—7 | 7 |
| „საირმე“ (მაიაკოვსკი) | 9 | 2 | 3 | 4 | 9—13 | 7 |
| „რიწა“ (გუდაუთა) | 8 | 1 | 3 | 4 | 8—23 | 5 |
| „განთიადი“ (ტყიბული) | 8 | 1 | 2 | 5 | 6—24 | 4 |
| „მეშახტე“ (ტყვარჩელი) | 8 | 0 | 4 | 4 | 4—15 | 4 |
| „მშენებელი“ (ჭიათურა) | 8 | 0 | 0 | 8 | 3—32 | 0 |



აჭარის მოსწავლეთა ამასწინანდელი სპარტაკიადის ფრაგმენტი. თამაშობენ ქ. ბათუმისა და ქედის რაიონის კალათბურთელები.

ფოტო ა. ქებაბჩიანისა.

# სათანრიგო მოთხოვნებთან — მცურალად

აჭარის დედაქალაქში გაიმართა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური ტურნირი მძლეოსნობაში. პირადი მაჩვენებლებიდან აღვნიშნავთ მხოლოდ სათანრიგო ნორმატივების შესაბამის რამდენიმე შედეგს: 100 მეტრზე ვაჟთა რბენაში ა. ჯაფარიძემ (ლაითური) 11,4 წამი აჩვენა და ჩემპიონობა დაისაკუთრა. ასეთივე შედეგით II ადგილზე გავიდა თ. პაპაშვილი (დიდი ჯიხაიში), რომელსაც წინასწარ გარბენში უკეთესი მაჩვენებელი (11,3) ჰქონდა. ჯაფარიძე უძლიერესი იყო 200 მეტრზეც — 23,7. სამხტომში მოიგო რ. გოროხაშვილმა (წინამძღვრიანთკარი — 13,72), სიგრძეზე ხტომა — მისმა თანაგუნდელმა ა. თვაურმა — 609. გორელმა ა. ჯინჯიხაშვილმა ყველას აჯობა 1500 მეტრზე რბენაში (4.27,4), ცხაკაიელმა რ. ჭკადუამ — სიმაღლეზე ხტომაში (165).

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის გუნდი, II ადგილზე გავიდნენ აჩიგვარის, III — გორის ტექნიკუმის წარმომადგენლები.

ტურნირი ვაჟებისთვის ათ სახეობაში მოეწყო, ქალებისთვის კი ცხრაში. ჩათვლაში III თანრიგის და უკეთესი შედეგები შედიოდა. ქალებმა მხოლოდ სამ სახეობაში აჩვენა ჩასათვლელი ნორმატივი. სიმაღლეზე ხტომაში მარტო გამარჯვებულმა დაძლია 125 სანტიმეტრი, სხვებმა საწყისი სიმაღლეც ვერ აიღეს. მიუხედავად იმისა, რომ სპრინტში ვაჟებმა 20-მდე სათანრიგო შედეგს მიაღწიეს, 4×100 მეტრზე ესტაფეტაში მხოლოდ გამარჯვებულმა გუნდმა შეასრულა სათანრიგო მოთხოვნა. ხუთმა სპორტსმენმა აჩვენა II თანრიგის, 93-მა — III თანრიგის შედეგი, ტურნირში კი სულ 300-მდე კაცი მონაწილეობდა. აქვე დავუმატებთ, რომ შარშანდელთან შედარებით შემცირდა მონაწილეთა რიცხვიც.

სულ ტურნირში 26 ტექნიკუმი ჩაება. გუნდები არ გამოგზავნეს ახალქალაქის, ხეთის, მაჩხაანის, ბოლნისისა და ცაგერის ტექნიკუმებმა. შეჯიბრების მონაწილე კოლექტივებში ბევრმა 3-4 ჩათვლა ძლივს მიიღო. ჯიხაიშის ტექნიკუმმაც კი, რომელმაც უძლიერესის სახელი დაისაკუთრა, პროგრამის 19 სახეობიდან მხოლოდ 9 ჩათვლა მიიღო. ვანის, ქედისა და გეგეჭკორის ტექნიკუმებმა თითო ქულაც ვერ მოიპოვეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებულ შეჯიბრების დებულებაში რატომღაც შეტანილი არ იყო ბირთვის კვრა (ვაჟთათვის) და ხელყუმბარის ტყორცნა (ვაჟებისა და ქალებისთვის).

ვ. მუსხელიშვილი.

ბათუმი.

# კომკავშირელთა თავკაცი — ჩემპიონთა გუნდის მწვრთნელი

ახლახან სოხუმში გაიმართა საქართველოს საზღვაო ნაოსნობის სამმართველოში შემავალი სპორტული ორგანიზაციების პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის, სოხუმის და ფოთის ნავსადგურების სპორტსმენებმა, აგრეთვე, ბათუმის საზღვაო'სნო სასწავლებლისა და საქართველოს საზღვაო ნაოსნობის სამმართველოს გუნდებმა.

I ადგილი დაიკავა ბათუმის ნავსადგურის ნაკრებმა. ჩემპიონთა მწვრთნელმა, ნავსადგურის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა რ. ჩხარტიშვილმა თავადაც კარგად იასპარეზა და გუნდიც საუცხოოდ მოამზადა. II ადგილი დაიკავეს ფოთელებმა, ხოლო III — მასპინძლებმა.

უძლიერეს სპორტსმენთაგან დაკომპლექტდა საქართველოს საზღვაო ნაოსნობის სამმართველოს ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს „ვოდნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში.

ს. პარფენიდი,
საქართველოს რვაგზის ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში, სპორტის ოსტატი.

სსრ კავშირის პირველობა

# გორელები ლიდერობენ

„ბ“ კლასი

გორში გაიმართა მორიგი მატჩი „ბ“ კლასის რსფსრ-ს III ზონაში: ადგილობრივმა „დილამ“ მიიღო ლაბინსკის „უროჟაი“.

მატჩი ძლიერ ქარში მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა თავიდანვე შეძლეს ორგანიზებულად, კარგი ურთიერთშეთანხმებით წარემართათ თამაში. ისინი მთელი ტაიმის განმავლობაში ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ შეტევის დასასრულს ჩქარობდნენ და მიზანს აცილებდნენ ბურთს.

შესვენების შემდეგ „დილის“ იერიშებმა კიდევ უფრო იმატა და ცენტრალურმა თავდამსხმელმა კაპანაძემ ორი ბურთი გაიტანა ლაბინსკელთა კარში — 2:0.

აღსანიშნავია, რომ გორის „დილა“ ახლა ლიდერია თავის ზონაში. განვლილ მატჩში კაპანაძის გარდა, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჯორბენაძემ, ამირიაშვილმა და კობიაშვილმა.

ნ. ნასყიდაშვილი.

## სხვა შეხვედრები

### III ზონა

„არაზი“ (ნახიჭევანი) — „უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია) 1:0, „დაშქინი“ (ზაქათალა) — „ უროჟაი“ (სვეტლოგრადი) 3:1, „ხიმიკი“ (ბალაკოვო) — „სპარტაკი“ (ბელგოროდი) 2:1, „ტრუდი“ (ენგელსი) — „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) 1:0, „ენერგია“ (ვოლჟსკი) — „სპარტაკი“ (ორიოლი) 1:3.

### IV ზონა

„სევანი“ (ოქტემბერიანი) — „ირისთონი“ (მოზდოკი) 2:0, „ლენინაკანი“ (კაფანი) — „უროჟაი“ (გროზნო) 3:2, „არაქსი“ (ეჩმიაძინი) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 1:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) 1:1.

# შვიდში საუკეთესო

„სპარტაკის“ ზუგდიდის რაისაბჭოს I სპარტაკიადის პროგრამაში მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, შაში და ტყვიის სროლა შედიოდა.

ასპარეზობაში მონაწილეობდა 7 ფიზკულტურული კოლექტივი. თავი ისახელა ჩაის 1-ლი ფაბრიკის გუნდმა, რომელიც ყველა სახეობაში გამოვიდა და საერთო I ადგილიც დაიკავა.

II ადგილი წილად ხვდა ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიური ტექნიკუმის კოლექტივს, III — სოფელ ცაიშის ჩაის ფაბრიკის ნაკრებს.

ა. ბაქურაძე.

ზუგდიდი.

# პირველი ბურთი გააქვს... ჰოკეისტს

მოსკოვი, 5 ივნისი. გუშინ ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ადგილობრივი „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ვეტერან ფეხბურთელთა ამხანაგური შეხვედრა.

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ნ. ლატიშევის სასტვენზე გუნდები მინდორზე გამოვიდნენ. დინამოელთა შორის იყვნენ ხომიჩი, ბესაროვი, კრიჟევსკი, კუზნეცოვი, ილინი, რიჟკინი, სავდუნინი და სხვ. სპარტაკელთა ღირსებას იცავდნენ ივაკინი, ტიშჩენკო, ივანოვი, პარშინი, ტიმაკოვი, სიმონიანი, სალნიკოვი და სხვ.

პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა ცნობილმა... ჰოკეისტმა ბ. მაიოროვმა („სპარტაკი“). შესვენების შემდეგ ს. სალნიკოვმა ანგარიში ორამდე გაზარდა. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა —2:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვანო მიდელაური, „ყაზბეგის მთა“ და სხვები

## ქართველი ფალავნები თბილისის ცირკის სარბიელზე

საქართველოს დედაქალაქი თავიდანვე იზიდავდა უცხოელ მსახიობებს, სპორტსმენებს. თბილისში ხშირად ჩამოდიოდნენ ცირკის პატრონებიც, რომლებსაც მუდამ თან ახლდნენ მოჭიდავეები, მეტწილად საქვეყნოდ აღიარებული ფალავნები.

ჩვენი საუკუნის 20-ან წლებში თბილისს ეწვია ძმები ეფიმოვების ცნობილი ცირკი. ამ ცირკში დროდადრო მოჭიდავეთა შერკინებაც იმართებოდა. ჭიდაობდნენ ფრანგულს, შვეიცარიულს, ზოგჯერ სპარსულს და სხვ.

ამ პირობებში ერთობ რთულ მდგომარეობაში იყვნენ ქართველი ფალავნები, ვინაიდან ფრანგული, შვეიცარიული და სპარსული ჭიდაობა მათთვის უცხო ხილი გახლდათ. თავის მხრივ, უცხოელებისთვის ძნელი ასათვისებელი იყო ქართული (როგორც მაშინ ეძახდნენ, კავკასიური) ჭიდაობის ილეთები.

თბილისის მოურავის ნებართვით ეფიმოვების ცირკს მიხაილოვსკის (დღევანდელი პლეხანოვის) გამზირზე, მუშტაიდის ახლოს მდებარე საცირკო შენობა დაუთმეს, სადაც თითქმის მთელი წლის განმავლობაში ეწყობოდა წარმოდგენები და, რა თქმა უნდა, ათლეტთა გამოსვლებიც.

რომელი ერის წარმომადგენლებს არ ნახავდით აქ! რუსებს, უკრაინელებს, ინდოელებს, იაპონელებს, სპარსელებს, სომხებს, თათრებსა და სხვებს ეფიმოვების ცირკი ფართოდ უღებდა კარს. აქ სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ სახელგანთქმული ფალავნები: როლანდი, მაზინგი, შტრემი, ერმაკოვი, ჯოემორა, ემელიანოვი, სტერსი, პუგაჩოვი, შავი ნიღაბი, სმირნოვი, საარელა, სინგი, ტსინკა, როლანგა, ეილინი, მაკაროვი, ამერგი, იან იაგური, ონო-ოკიტარო, ზაგორუიკო, ყარა-ზამუკოვი, შოფერი, ყარამანოვი, ბრონენოსცევი, პეტკოვიჩი, ჰანიბალი, ტიგრან ლუბაროვი და სხვ. აქ ქალებიც ჭიდაობდნენ, მაგალითად, ინა ინტარი, ქენინა და სხვ.

ეფიმოვების ცირკში გამოჩნდა განთქმული მოჭიდავე, იმ დროს საქართველოში ცნობილი ფალავანი ვანო მიდელაურიც, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ადგილობრივ მოჭიდავეთა შორის პირველმა გაკვალა გზა ცირკის ასპარეზზე. მიდელაური მალე დაეუფლა უცხოური ჭიდაობის ხერხებს. საცირკო წარმოდგენების პირველსავე თვეს ადმინისტრაცია ოფიციალურად იუწყებოდა, რომ „ძმათა ეფიმოვების ცირკში ჭიდაობენ ვანო მიდელაური და ზაგორუიკო, მიდელაური და ჰანიბალი“.

მართლაც, ეფიმოვების ცირკში თითქმის არ დარჩენილა ფალავანი, მიდელაურთან რომ არ ეცადოს ბედი.

მიდელაურის კვალს მალე სხვა გამოჩენილი ქართველი მოჭიდავეებიც მიჰყვნენ. საინტერესოა, რომ მასთან ერთად ამ ცირკში ჭიდაობდა უცნობი ფალავანი, რომელსაც „ყაზბეგის მთას“ ეძახდნენ. გაზეთ „სახალხო ფურცლის“ ერთ-ერთი მაშინდელი ნომერი იუწყებოდა, რომ „ჭიდაობენ ვანო მიდელაური და როლანდი, „ყაზბეგის მთა“ და მაზინგი“. ერთხელ „ყაზბეგის მთა“ ერმაკოვსაც დაეჭიდა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ „ყაზბეგის მთა“ მუდამ მაშინ ჭიდაობდა, როცა მიდელაურიც გამოდიოდა. როგორც ჩანს, ახალბედა იყო და ცირკში მიდელაურმა მიიყვანა. ეს მოჭიდავე მეტად ტანადი, ახოვანი ყოფილა და „ყაზბეგის მთაც“ სწორედ ამიტომ შეურქმევიათ.

მოგვიანებით საჭიდაო სარბიელზე გამოჩნდნენ ფიდო მუხრანელი, დათიკო რუსიშვილი, ნოზაძე, ზანდუკელი, „უცნობი ქართველი“, ოგაძე (ალბათ ეგაძე უნდა იყოს), შაშო ვერელი, როსტიაშვილი, გლდანელი (კულა კი არა), აბულაძე-ქიზიყელი, ხერხეულიძე, გიორგი ოდიშვილი, კოლა დიდუბელი, ვანო სუკონიშვილი, გიგუცა ნაურიშვილი...

როგორც ირკვევა, მიდელაურსა და რუსიშვილს მალე შეუსწავლიათ სპარსული ჭიდაობა. მიდელაური მრავალრიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით სწორედ სპარსულად დასჭიდებია როლანდს, ხოლო რუსიშვილი — ყარამანოვს. შემდგომში სპარსულად ჭიდაობდნენ აბულაძე-ქიზიყელიც, ხერხეულიძეცა და სხვებიც.

ცირკის ადმინისტრაციამ თბილისიდან წასვლის წინ სამი კავკასიური ჭიდაობა გამართა (ალბათ მადლობის ნიშნად). იმ დღეს სარბიელზე ერთმანეთს შეხვდნენ შაშო ვერელი — გიორგი ოდიშვილი, ვანო სუკონიშვილი — კოლა დიდუბელი და გიგუცა ნაურიშვილი — ტიგრან ლუბაროვი.

სამწუხაროდ, იმდროინდელ პრესაში ამ შეხვედრათა შედეგები მხოლოდ კანტიკუნტად თუ შეგხვდებათ. ძმები ეფიმოვები, რა თქმა უნდა, ასეთ შედეგებს აუცილებლად აღნუსხავდნენ (აღრიცხვა საჭირო იქნებოდა იმიტომაც, რომ ისინი მოჭიდავეებს გასამრჯელოს უხდიდნენ) და შესაძლოა ეს ცნობები მათ პირად არქივში ინახება. თუ არქივი გადარჩა და სახელმწიფოს ჩაბარდა, არ არის გამორიცხული, რომ ბევრ საინტერესო ცნობას დღის სინათლე ეღირსოს.

ვ. სიდამონიძე.



წყურვილი.

ფოტოეტიუდი ი. იუნაევისა.

## მოკლედ

● **ბელგრადი.** მატჩი იუგოსლავიისა და უნგრეთის ვეტერანთა ნაკრებ გუნდებს შორის მოიგეს იუგოსლავიელებმა — 4:1.

● **მადრიდი.** ადგილობრივმა „რეალმა“ დღემდე 85 მატჩი ჩაატარა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. 83 მატჩში (!) მონაწილეობა მიიღო მისმა ახლანდელმა კაპიტანმა ხენტომ.

● **ლისაბონი.** ცნობილი ბრაზილიელი მწვრთნელი ო. გლორია, რომელიც 1967-68 წლების სეზონში სათავეში ედგა მადრიდის „ატლეტიკოს“, დანიშნულია ლისაბონის „ბენფიკას“ მთავარ მწვრთნელად.

● **ვენა.** ავსტრიის თასის ფინალურ მატჩში ვენის „რაპიდმა“ ანგარიშით 2:1 სძლია „გრაცერ ატლეტიკ კლუბს“.

## ბუტაუტასის მოწაფეები

წარსულში ცნობილი საბჭოთა კალათბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. ბუტაუტასი ახლა კუბის ნაკრებს ავარჯიშებს. ამ დღეებში კუბელმა სპორტსმენებმა იმოგზაურეს ევროპაში. მათ გამართეს შეხვედრები ბულგარეთში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, რუმინეთში და 22 მატჩიდან 15-ში გამარჯვება იზეიმეს.

კუბელი კალათბურთელები სსრ კავშირსაც ეწვივნენ და რიგაში 3 მატჩი გამართეს. პირველ შეხვედრაში ადგილობრივ არმიელებთან გაიმარჯვეს — 85:81, მეორეში იმავე მეტოქეებთან დამარცხდნენ — 64:75, ხოლო ბოლო, მესამე მატჩში სძლიეს თევზსაჭერი კოლმეურნეობა „9 მაისის“ კალათბურთელებს — 85:81.

## ერთი კადრი ამბავი

● **ნიუ-იორკი, 4 ივნისი.** შესანიშნავად იასპარეზეს ამერიკელმა ძალოსნებმა. მძიმეწონოსანმა რ. ბედნარსკიმ სამჭიდში 565,2 კგ (195 + 158, 9 + 211,3) დააგროვა (ინგლისური გირვანქებიდან გადმოთვლის მიხედვით). ცოტათი ჩამორჩა მას ჯ. პიკეტი — 562,3 (201,7 + 156,6 + 204). 203,5 კგ აჰკრა ჯ. დიუბმა. ქვემძიმე წონის ათლეტის ფ. გრიპალდის შედეგია 478,9 (158,9 + 138,4 + 181,6).

● **ბრიდლინგტონი, 5 ივნისი.** საგზატკეცილო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონების შვედი ძმების პეტერსონების განთქმული ოთხეულის ერთ-ერთი წევრის — დაუღალავი გესტას მეცადინეობით შვეციის გუნდმა მოიგო ინგლისის ველოტურის X ეტაპი გულიდან ბრიდლინგტონამდე, მაგრამ 10 ეტაპის ჯამში კვლავ ლიდერობენ საბჭოთა მრბოლელები. ამ ეტაპზე (43,5 კმ), რომელზეც გუნდური რბოლა გაიმართა. სსრ კავშირის წარმომადგენლები ფინიშთან მეორენი იყვნენ — 53.40. შვედების დროა 52.57. მიუხედავად ამისა, 10 ეტაპის ჯამში შვედებს მოკრძალებული VI ადგილი უჭირავთ. საბჭოთა ნაკრები მის უახლოეს მდევარს — ვარსკვლავების ინტერნაციონალურ გუნდს 7 წუთზე მეტით უსწრებს.

● **რომი, 5 ივნისი.** რაპირისტთა საერთაშორისო ტურნირში — „სიგიზმონდო მალატესტაში“ ყველას აჯობა ლვოველმა ვ. პუტიატინმა. ეს იყო ძნელი გამარჯვება: პირველობის ბედი პუტიატინისა და მეორე საბჭოთა მოფარიკავე ი. შაროვის (სარატოვი) „გადაბრძოლებამ“ გადაწყვიტა.

## უცხოეთის ფეხბურთის გარშემო

### „კარლ ცაისი“ — პირველი ● დაწინაურდა „ცრვენა ზვეზდა“ ● გაიმარჯვა „რაპიდმა“

**დამთავრდა** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონატი. ქვეყნის ახალი ჩემპიონია „კარლ ცაისი“ (იენა), რომელმაც 39 ქულა დააგროვა 26 თამაშში.

ჩემპიონს 5 ქულით ჩამორჩა „ჰამზა“ (როსტოკი). III ადგილზეა „მაგდებურგი“ — 33 ქულა.

**იუგოსლავიის** ჩემპიონატში „პარტიზანმა“ დამარცხება განიცადა („ოლიმპიასთან“ — 1:2) და I ადგილი დაუთმო „ცრვენა ზვეზდას“. ამ უკანასკნელს ახლა აქვს 36 ქულა, ხოლო „პარტიზანს“ — 35.

**რაპანის** თასზე ვენაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „რაპიდი“ და პორტუგალიის „სპორტინგი“. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა „რაპიდმა“.

## ერერას ახალი კონტრაქტი

ელენიო ერერა კვლავ საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრშია. მას შემდეგ, რაც ეროვნულ ჩემპიონატში მარცხი განიცადა მილანის „ინტერნაციონალემ“, რომლის მწვრთნელიც ერერა იყო, მან წინადადებები მიიღო ესპანეთიდან (მადრიდის „ატლეტიკო“), ბრაზილიიდან (სან-პაულუს „კორინტიანსი“) და არგენტინიდან (ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსი“). მაგრამ ერერა დარჩა იტალიაში და ხელი მოაწერა კონტრაქტს დედაქალაქის კლუბ „რომასთან“. აღსანიშნავია, რომ ეს გუნდი იტალიის ჩემპიონი იყო 26 წლის წინ.

## ეროვნებათა თასზე

**ვარშავა.** პოლონელმა რეგბისტებმა ანგარიშით 18:6 დაამარცხეს ჰოლანდიელი სპორტსმენები.

**ბუქარესტი.** რუმინეთის ნაკრებმა დიდი ანგარიშით (17:3) მოუგო ამ გათამაშების შარშანდელ ფინალისტებს — ჩეხოსლოვაკიელ რეგბისტებს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**თბილისის სპორტული ბაზები**

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის I ჯგუფი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი). 7 ივნისს — დუბლიორთა შემადგენლობანი. 8 ივნისს — ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 18 ს. და 30 წ.

# ახლა კი საბოლოოდ!

ჩვენი პლანეტის ალბათ არც ერთ ძალოსანს არ შეუტანია იმდენი შესწორება მსოფლიო რეკორდების ცხრილში, რამდენიც შესანიშნავმა საბჭოთა ათლეტმა იური ვლასოვმა შეიტანა. არც სხვა რომელიმე ძალოსნის გარშემო ამტყდარა იმდენი მითქმა-მოთქმა, რამდენიც ვლასოვს ხვდა წილად.

საქმე ის გახლავთ, რომ ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ ვლასოვი ხან გამოჩნდებოდა ძალოსნურ ფიცარნაგზე და თავის გამოსვლას რეკორდით დაამშვენებდა, ხან კი ხანგრძლივად სდუმდა. ძალოსნური სპორტის მოყვარულები ყოველთვის ელოდნენ ამ საოცარი ათლეტისაგან უმაღლეს შედეგებს და ისიც არ გაუმტყუნებდა ხოლმე მათ იმედს.

და აი, ახლახანს პოდოლსკში ვლასოვმა საბოლოოდ განაცხადა, რომ ტოვებს სარბიელს. რატომ მაინცდამაინც პოდოლსკში მოინდომა განუმეორებელმა სპორტსმენმა დიდ სპორტს გამოსთხოვებოდა? იმიტომ, რომ ამ ქალაქთანაა დაკავშირებული მისი საუკეთესო მოგონებები. აქ დაამყარა მან მსოფლიოს 7 რეკორდი, აქ აჩვენა ფენომენალური შედეგი სამჭიდში — 580 კგ, რომელიც ბოლო დრომდე ხელუხლებელი იყო და ისევ საბჭოთა ათლეტის ლ. ჟაბოტინსკის მეშვეობით დამძიმდა 10 კგ-ით. ბოლო წლებში სწორედ ამ ორი შესანიშნავი ძალოსნის ჭიდილმა შვა მრავალი მსოფლიო მიღწევა. თვით ჟაბოტინსკი აღიარებდა, რომ ვლასოვთან მეტოქეობამ შეაძლებინა ბევრი გამარჯვების მოპოვება ძალოსნურ სარბიელზე.

...1959 წლის გაზაფხულზე ვლასოვმა თავისი პირველი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მას შემდეგ მან კიდევ 31-ჯერ გააუმჯობესა მსოფლიო მიღწევები, ხოლო საკავშირო რეკორდების ცხრილში 41-ჯერ შეიტანა შესწორება. ვლასოვი ბევრჯერ იყო სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მისი მაღალი ოსტატობით მსოფლიოს მრავალ კუთხეში დამტკბარან. კლასიკურ სამჭიდში ვლასოვმა თითქმის 70 კგ მიუმატა მსოფლიო რეკორდს.

თავის თაყვანისმცემლებთან გამომშვიდობებისას ვლასოვმა თქვა, რომ მუდამ ეძებდა საქმეს, რომელშიც ყველაზე უკეთ და სრულად შეძლებდა ადამიანებისთვის სიკეთის მოტანას. ჭაბუკობის წლებში ეს სპორტი იყო, ახლა კი ლიტერატურაა. „თუმცა ლიტერატურაში არავითარი პრეტენზია არა მაქვს“, — თქვა ათლეტმა და დაამატა: „პრეტენზია არც მაშინ მქონდა, როცა პირველად მოვეჭიდე შტანგას. უმთავრესად სპორტზე დავწერ, ვინაიდან ეს თემა ჩემთვის მახლობელი და საყვარელია.“

დასასრულს ვლასოვმა პოდოლსკელ გულშემატკივრებს სახსოვრად გადასცა თვითნაკეთი ძალოსნური იარაღები, თავისთვის კი სავარჯიშოდ დაიტოვა ორფუთიანი ორბირთულა და ჰანტელები.

ა. ცეხანელი.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 93-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 93-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-95-14. ფოტოლაბორატორია — 93-95-16, მემანქანეთა ბიურო — 93-95-11, გამომშვები — 93-93-81.